დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის 2013 წლის ანგარიშის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ შემუშავებული და საკრებულოზე წარდგენილი იქნა 2013 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა N53 დაგენილებით 2012 წლის 26 დეკემბერს. აღნიშნული წესი აწესრიგებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან ,,სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებულ სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2013 წლის ბიუჯეტით დაზუსტებული სიით სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 211700 ლარი, შემდეგი სახის სოციალურ პროგრამებზე:

1. დედ–მამით ობოლი ბავშვებისადმი ყოველთვიური ფულადი დახმარება. ბიუჯეტით დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 1600 ლარი, გაიხარჯა 1550 ლარი.

2. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე მეომრებისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების სარიტუალო მომსახურება. დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 2000 ლარი, გაიხარჯა 2000 ლარი.

3. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისადმი ერთჯერადი და ყოველთვიური დახმარება. დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 11500 ლარი, გაიხარჯა 11540 ლარი.

4. უხუცეს დღეგრძელთა დახმარება ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1500 ლარი, გაცემულია ამდენივე.

5. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე გათვალისწინებული იყო 3200 ლარი, გაიხარჯა ამდენივე.

6. ეკონომიურად შეჭირვებულ ოჯახებზე სათბობის შეძენის ხარჯებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 2 700 ლარი, გაცემულია ამდენივე.

7. სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცოხვრებელ და ეკონომიურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერად დახმარებაზე, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შეძენა ან დაქირავება ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 124 700 ლარი, გაცემულია 118 710 ლარი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებაზე დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 7600 ლარი, დაიხარჯა 7600 ლარი.

9. 18-დან 60 წლამდე ასაკის შეჭირვებულ პირებზე პირებზე გადაუდებელი სტაციონალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება, რომლებიც არ ექვემდებარებიან სახლემწიფო პროგრამით დაფინანსებას, მკვეთრად გამოხატული შშმ პირების სტაციონარულ მომსახურებაზე დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 2100 ლარი დაიხარჯა 2110 ლარი.

10. ონკოლოგიურ დაავადებით დაავადებულთა სამედიცინო მომსახურებაზე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა სამედიცინო სტაციონალურ მომსახურებაზე და ომის ვეტერანებზე, მედიკამენტების შეძენაზე დახმარება. ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 6000 ლარი, გახარჯულია 5099 ლარი.

11. მშობიარეთა 50%–იან დაფინანსებაზე დაზუსტებული სიით გატვალისწინებული იყო 3000 ლარი, დაიხარჯა 2987 ლარი.

12. მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასკის ბავშვები) ოჯახების დახმარება ბიუჯეტით გათალიწინებული იყო 21 000 ლარი, გაიხარჯა 20 550 ლარი.

13. ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისადმი დახმარებაზე გათვალისწინებული იყო 6900 ლარი, დაიხარჯა 6899 ლარი.

14. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა სადღესასწაულოდ, ფაშიზმზე გამარჯვების 68-ე წლისთავთან დაკავშირებით, ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 3100 ლარი და დაიხარჯა ამდენივე.

15. 0-დან 5 წლამდე და 5-დან 18 წლამდე ასაკის შეჭირვებულ ოჯახთა ბავშვების ბავშვების გადაუდებელ სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე დახმარება, 0–დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვების სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება. 0–დან 5 წლამდე და 5–დან 18 წლამდე ბავშვების ყელ–ყურ ცხვირის პროფილის დაავადებით დაავადებულთა ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებაზე დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 1200 ლარი, გაიხარჯა 1181 ლარი.

16. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება, რომელიც გადიან დიალეზის კურსს (მგზავრობის ღირებულება) ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 13 600 ლარი, გაიხარჯა 13 536 ლარი.

სამსახურის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ, ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულ პირთა მოსაგონებლად 9 აპრილის სახელობის პარკში გაიმართა წირვა, 9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძის საფლავი შემკობილ იქნა გვირგვინით, ხოლო მის ოჯახს და 9 აპრილს მოწამლულ ნანა მგალობლიშვილს გადაეცა ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 300 ლარი.

9 მაისს მეორე მსოფლიო ომის 68–ე წლისთავის აღსანიშნავად ჩატარებული იქნა ღონისძიება ომის მონაწილე პირებთან ერთად. გვირგვინით შეიმკო ომში დაღუპულთა მემორიალი. თითოეულ ომში მონაწილესა და ომში დაღუპულთა ქვრივებს გადაეცათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 200 ლარი.

აფხაზეთის კომფლიქტისა და 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მებრძოლთა მოსახსენებლად ჩატარებული იქნა ღონისძიება, გვირგვინებით შეიმკო მემორიალი, ჩატარდა წირვა. ასევე გვირგვინებით შეიმკო დაღუპულთა საფლავები, ხოლო დაღუპულთა ოჯახებს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულ 300 ლარის ოდენობით.

სამსახური კორდინაციას უწევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს. 2013 წლის განმავლობაში განხორციელებულია დებულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები დაჭაობებულ ადგილებში. განსაკუთრებით საშიში ეპიდემიური დაავადებები მუნიციპალიტეტში არ გამოვლენილა.

მუნიციპალიტეტის პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნასა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახური.

სოციალური დახმარების გაცემის საკითხის გადაწყვეტა ხდება კონკრეტული შემთხვევის არსებითად ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.

სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებისადმი მომხდარი ცვლილებების სისტემატიურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესაბამისი შესწორებები ბენეფიციართა სიებში (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა).

ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება–კლება, ბავშვების სრულწლოვანობის დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის მიერ საცხოვრებელი სახლის ან ბინის შეძენა დაქირავება და ა. შ.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დასკვნის სახით, სამსახურის უფროსის მიერ ეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგებელს ბრძანების გამოსაცემად.